სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/116

ქ. თბილისი

29 ივლისი 2021 წ.

საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების", საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2021 წლის 28 ივნისის საბჭოს სხდომის №64 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებასთან ურთიერთობა", ხელმძღვანელი - პროფესორი ვანო ჭიაურელი, ხელმძღვანელი - ელდარ პირმისაშვილი, ასოცირებული პროფესორი,
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2021/2022 სასწავლო წლიდან.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**